


საქართველოს სსრ
საზოგადოება „ცოდნა“



მ. თოფურია

ქართული ენის სინქრეტიკული ლექსიკონი

5

სერია მეექვსე

თბილისი

1984

საზოგადოების ბროშურაზე ხელმოწერითა საუკრავად

1964 წელს დაიბეჭდა და შეექვსე სერიის ხელმოწერებს დაეგზავნათ
შემდეგი ბროშურები:

1. {
2. { ლ. მაქსიმოვი — სინთეზური მასალები ღღეს და ხეალ
3. { ს. ერქომაიშვილი — ღორის ხორცის წარმოების გაღღების რე
4. { ზერვები საქართველოში
5. ვ: თოფურია — ქართული ენის სინმინდის დაცვისათვის

პროფ. ვ. თოფურია

ქართული ენის სინთაზის ღაცვისათვის

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი

1964

4 r
499.962.1
თ776

რედაქტორი პროფესორი გ. ახვლედიანი

ენის სიწმინდის დაცვა ნიშნავს ლიტერატურული ენის აღწარმობის, მისი ნორმების, მისი წესების დაცვას, ენის დამახასიათებელი მართებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას, ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენებას. ენის სიწმინდის დაცვა ერთი მხარეა მეტყველების კულტურისა. მეტყველებას კულტურა ფართო ცნებაა. იგი გულისხმობს ლიტერატურული ენის გამოყენებით საშუალებათა სიმდიდრისა და სტილისტიკური მრავალფეროვნების დაუფლებასა და სათანადო გამოყენებას.

როცა ენის სიწმინდეზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ლიტერატურული ენა აქვთ მხედველობაში, მხოლოდ სამწერლობო ენას გულისხმობენ.

ლიტერატურული ენის ნორმათა დარღვევის მიზეზი ბევრია. მათ ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავთ. ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ლიტერატურული ენის დამახინჯებისა ესაა ჩვენი დაუღვერობა, უყურადღებობა ლიტერატურული ენის ნორმათა დაცვისადმი. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ერთმანეთში ვურევთ კუთხურ და ლიტერატურულ ფორმებს, რუსულ და ქართულ სიტყვებს. წარამარა რომ ვხმარობთ სიტყვებს: „მაშინა, ჩოთქი, კერასინკა, ტიორკა...“ ან: „ბულკი, სერი პური, პეჩენია, მაროყნი“. — ან კიდევ უარესი — „პეროყნი. პერაშკი“ და სხვა, განა იმიტომ ვხმარობთ, რომ შესატყვისი ქართული სახელები არა გვაქვს, არა: მაგიერი სიტყვები გვაქვს, მაგრამ არ დავუძებთ, არ გვენაღვლება, რას და როგორ ვამბობთ. განა დაუღვერობით არ აიხსნება, რომ გამყიდველს სკოლის ბუფეტში ასეთი წარწერებით აქვს „დამშვენებული“ ბავშვთა სასუსნავი — „კამფეთი“, „პოჩიკი“ და სხვა. სად არის სკოლის ხელმძღვანელობა, მასწავლებელთა კოლექტივი? ამას ხომ ყოველდღე კითხულობს 300-500-1000 მოსწავლე.

მხოლოდ უყურადღებობით აიხსნება, მაგალითად, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე უშველებელი ასოებით გაკეთებულე წარწერა: ღვეძელი, ბაჭღეია... ან მაღაზიაში სულუგუნს რომ აწერია „სულიგულა“, ან უარეს შემთხვევაში სულ არაა ქართული ხსენე-

ბაში (ბევრი მსგავსი მაგალითი იყო დასახელებული ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“). უყურადღებობის გამოა, რომ მუდმივი შეცდომებით ბეჭდავენ თეატრების აფიშებს, პროგრამებს: დადგმა ვასაძის, მუსიკა ლალიძის, თარგმანი გაჩეჩილაძის — ნაცვლად სწორი ფორმისა: დადგმა ვასაძისა, მუსიკა ლალიძისა, თარგმანი გაჩეჩილაძისა და სხვა.

ასეთ პირობებში ისმება საკითხი: როგორ დავიცვათ სიწმინდე, როგორ ავიცილოთ შეცდომები? ამისათვის ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ღონისძიებას ატარებენ: დაარსებულია ქართული ლიტერატურული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და წევრებია ჩვენი მწერლები, ენათმეცნიერები, პრესის მუშაკები, განათლების მინისტრი და სხვა. სახელმწიფო კომისია განიხილავს და ამტკიცებს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ შემუშავებულ და სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებულ პროექტებს სადავო საკითხების შესახებ, ადგენს სწორ ნორმებს. ეს დადგენილებები მალე გამოქვეყნდება წიგნად. ამ დადგენილებათა აფუძველზე დამზადდა ქართული მართლწერის სხვადასხვა სახელმძღვანელო და ორთოგრაფიული ლექსიკონი. ამათი გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს ნორმების დაცვას.

ახლა გავეცნოთ სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენის პრინციპებს, რომლებიც შეიმუშავა სახელმწიფო კომისიამ. აი ზოგი მათგანი:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა წარმოადგენს XIX საუკუნის კლასიკოსთა დამკვიდრებულ ენას, საბჭოთა პერიოდში გამდიდრებულსა და დახვეწილს, დადგენილ ნორმებზე დამყარებულს.

2. უცვლელად რჩება ისეთი ლექსიკური და გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) მონაცემები, რომლებიც ერთია და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია. თუნდაც ის გრამატიკულად არ იყოს სწორი (ასეთია, მაგალითად, ვწევარ, დავჯექ და სხვა).

3. ორი და მეტი მოცილე ლექსიკური, ორთოგრაფიული, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენიდან რჩება ის ფორმა, რომელიც: ა) გამართლებულია თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული აღნაგობით და, მაშასადამე, კანონიერია; ბ) დამკვიდრებულ-

ლია და გავრცელებული კლასიკოსთა ენაში და ექვემდებარება ლიტერატურული ენის განვითარების ტენდენციას; გ) უფრო მარტივია წარმოების თვალსაზრისით და დ) უფრო ნათელია მნიშვნელობის მიხედვით.

თუ პარალელურად ხმარებული ორი და მეტი მოვლენა თანაბრად კანონიერია, მაშინ დარჩება ყველა, ოღონდ უპირატესობა მიენიჭება და ძირითადად გამოცხადდება ის ფორმა, რომელიც უფრო ახალია, მარტივია და ნათელია, ხოლო დასაშვებად მიიჩნევა სხვა ფორმებიც.

მართლწერის (ორთოგრაფიის) მოსაწესრიგებლად ასახელებენ რვა პრინციპს (როგორცაა: გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნული, ევოლუციონური, კულტურული, ისტორიულ-გენეტიკური, მორფოლოგიური, კეთილზმოვანებისა და სინტაქსურ-ლოგიკური. ს. გორგაძე), მაგრამ შეიძლება მათი გაერთიანება და სამ პრინციპამდე დაყვანა; ესენია: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული (გენეტიკურ-ეტიმოლოგიური თუ ტრადიციული).

ფონეტიკური პრინციპი ჰოითხოვს წერის დაახლოებას წარმოთქმასთან. ე. ი. წერას ისე, როგორც წარმოთქვამენ. ეს საკითხი მწვავედ დგას იმ ენებში, სადაც წერა და ლაპარაკი ძალზე დაშორებულია ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ფრანგულში; ინგლისურში; რუსულში დაშორება შედარებით ნაკლებია, ქართულში კი სულ მცირეა.

მორფოლოგიური პრინციპი გულისხმობს სიტყვის შემადგენელი ელემენტების (ფუძის, პრეფიქსების, სუფიქსების...) ერთნაირად წერას ეს პრინციპი ყველაზე უფრო ფართოდაა გამოყენებული რუსულ ენაში, სადაც ერთი და იგივე ფუძე სხვადასხვაგვარად წარმოითქმის, მაგ.: წარმოთქვამენ ვადა და წერენ **Вода** — „წყალი“ (ა-ს ნაცვლად **о-ს**), წერენ იმიტომ. რომ ბრალდებით ბრუნვაში ითქმის **Воды**. მრავლობით რიცხვში **Воды**. ქართულშიც ეს პრინციპი დასაყრდენს წარმოადგენს მოცილე ორი და მეტი ფორმიდან ერთ-ერთის მართებულად მისაჩნევად და დასადგენად. მაგ.. ითქმის: მე უთხარ, მე უპასუხე, მე ვარცხნი... მაგრამ ვწერთ: მე ვუთხარ, მე ვუპასუხე, მე ვვარცხნი და წესს ვადგენთ: პირველი მოქმედი პირის გამომხატველ ვ- თავსართს ვწერთ ზმნაში უ და ვ ბგერების წინაც და გვაქვს: ვურჩიე, ვუძახე... ვვარდები, ვვაჭრობ. მოველე და სხვა.

ხმარობენ: **ვდგევარ, დგეხარ და ვდგავარ, დგახარ.** გრამატიკუ-

ლად სწორია მეორე: ვდგავარ, დგახარ: აქ ფუძეა დგა და ეს უკანას-
კნელი შენახულია მესამე პირშიც: დგას, დგანან.

ისტორიული პრინციპი ფართოდ არის გაგებული: იგი შე-
ცავს გენეტიკურს (წარმოშობითს), ეტიმოლოგიურს (პირვანდელი
შედგენილობისა და მნიშვნელობის) და ტრადიციულს (დროთა გან-
მავლობაში გაღმოცემულ და დამკვიდრებულ) საწყისებს. როცა სა-
დავო საკითხის გადასაწყვეტად არ არის საკმარისი არც ფონეტიკუ-
რი და არც მორფოლოგიური პრინციპი, მაშინ ეყრდნობიან ისტო-
რიულს: როგორია ამ მოვლენის წარმოშობა და განვითარება. მაგ.:
ახლა წერენ ცვდება, გაცვდა, მაგრამ აწმყო დროში იხმარება
ცვეთს, ნამყოში ცვითა, მასდარში ცვეთა ფორმები; ცხადია, ფუძეა
ცვეთ, უხმოვნოდ ცვთ და შეიცავს ძირს ცვ და სუფიქსს ეთ (როგორც
ზმნები: ფლეთ-ს, ქრეთ-ს...), მაშასადამე. ისტორიულად უფრო
სწორია ცვეთა, გაცვთა და ასედაც უნდა ვწეროთ.

ზოგჯერ ფორმა წარმოშობით სწორია, მაგრამ მის ნაცვლად
ტრადიციის გამო უმართებულო ფორმას წარმოვთქვამთ და ვწერთ.
მაგ.: ავდეგ, ადეგ ზმნა შეიცავს ძირს დეგ, უხმოვნოდ დგ (შდრ.
აღვა, დგომა, მღგარი...). მაგრამ კარგა ხანია დამკვიდრდა ავდექ,
ადექ ბოლო გ-ს გაყრუებისა და ქ-დ ქცევის გამო და ასედაც ვწერთ.
ამის მიმსგავსებით შეიცვალა დაჯჳედ, დაჯედ და გვაქვს დაჯჳექ, და-
ჯექ. ახლა ვხმარობთ ამ არასწორ ფორმას.

ამგვარად, მართლწერაში ვემყარებით ერთ-ერთ ზემოდასახელებულ
პრინციპთაგანს. თუ ერთი საკმარისი არ არის, ვიშველიებთ
მეორესაც. ყოველ შემთხვევაში, ყველა სავალდებულოდ გამოცხად-
დებული ნორმა დასაბუთებული უნდა იყოს. ამ მიდგომით შევეხე-
ბით რამდენიმე სადავო საკითხს.

ნასესხები სიტყვები

საყურადღებოა ნასესხებ სიტყვათა მართლწერა. სესხება ენის
გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებათაგანია. არ არსებობს წმინდა
ენა. ყოველი ენა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სხვა ენიდან
შემოსულ (ნასესხებ) სიტყვებს.

სესხების გზა შეიძლება იყოს სხედასხვა: ზეპირი და წიგნური.
ზეპირი გზით შემოსული სიტყვა ემყარება წარმოთქმასა და მოსმენას
და აპიტომ სმენით აღთქმული სიტყვა შეიძლება მსესხებელი ენის
ნორმებს დაექვემდებაროს და დასცილდეს პირველ წყაროს, ხოლო

წიგნის გზით შემოსული ეყრდნობა დაწერილსა და წაკითხულს და ამის გამო არ სხვაობს. სესხებას განეკუთვნება კალკიც. კალკი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს პირის. კოპიოს გადასაღებ ქაღალდს, ენათმეცნიერებაში კი სიტყვის, უმთავრესად რთული სიტყვისა და გამოთქმის იმგვარად წარმოქმნას ენაში. როგორადაც სხვა ენაშია, ოლონდ მასალა საკუთარია. მაგ.: კალკს წარმოადგენს ქართულში მრავალი სახელწოდება და ტერმინი: секундомер — სეკუნდსაზომი. წამსაზომი. громометр — მესხარდი, взаимодействие — ურთიერთმოქმედება, в текущем году — მიმდინარე წელს და ბევრი სხვა. ასეა შექმნილი რუსულის მიხედვით: ავიაქარბანა, ავტოსარემონტო, კოლმეურნე, პარტგანათლება, პოლიტხელი, პროფკავშირი და სხვა მრავალი ასე წარმოიქმნა ბერძნულის მიხედვით: თვითპყრობელი. ღვთისმშობელღ, მთავარეპისკოპოსი, ვერცხლისმოყვარე და სხვა.

გამოთქმათა კალკიც ბევრია: თამაში მიჰყავს. დადგმა განახორციელა. მოხსენებას აკეთებს.. სესხება სიტყვებისა ენადან ენაში ყოველთვის ხდება და ჰომავალში უფრო მეტიცაა მოსალოდნელი. მართალი იყო ილია. როცა წერდა: „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ენას არ დაამდიბლებს. თუ არ აამაღლებს...“ მაგრამ სესხებას შეზღუდვა სჭირდება როცა გვაქვს საკუთარი სიტყვა, მაშინ სესხება გაუმართლებელია ცნობილია ლენინის შენიშვნა: რუსულ ენას ჩვენ ვაფუძვებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ „დეფექტი“, როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანება ან ხარვეზი?...

განა დრო არ არის ოპი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარებას საჭიროების გარეშე?

ლენინის დებულებების განხორციელებაა. რომ Спутник-ის შესატყვისად ქართულში თანამგზავრი იზარება, თემცა ზოგ ევროპულ ენაში იგი უცვლელად გადავიდა.

ასე უნდა მოვიქცეთ ყოველთვის; თუ გვინდა საკუთარი ენა არ გავაღარიბოთ. არ დავაკნინოთ მასასადამე, უცხოურ სიტყვას გადმოვიღებთ მაშინ. როცა საკუთარი არა გვაქვს, ან ვთარგმნით, თუ ამის საჭიროება იგრძნობა მნიშვნელობის ადვილად გაგებისათვის. ამით აიხსნება, რომ არავის უცდია ვთარგმნა: კოსმონავტი, კოსმოდრომი. აეროპორტი, ავტომობილი, რეზონანსი, უნივერსიტეტი, ფაკულტეტი და ბევრი სხვა. მაგრამ არომატის პარალელურად თუ

ვხმარობთ სურნელებას, რეზულტატის გვერდით — შედეგს, ან პიედესტალს თუ შევცვლით კვარცხლბეკით და სხვა, ამით ჩვენი ენის სიმდიდრეს დავიცავთ და ენასაც არ გავაფუჭებთ.

დიდი სიფრთხილე გვმართებს კალკის დროსაც. აქ ხშირია ენის დამახინჯების შემთხვევები. რუსულ на лицо-ს შესაბამისად გავრცელდა სახეზეა. ასე არასწორადაა თარგმნილი: в продаже — გაყიდვაშია (უნდა: იყიდება), в основном — ძირითადად (უნდა: ძირითადად) და ზოგი სხვა (ბევრი მათგანი აღნიშნული ჰქონდა სილ. ხუნდაძეს, გაირჩა გაზ. „თბილისში“ და გასწორდა კიდეც).

როგორ გადმოიცეს ნასესხები სიტყვები და საკუთარი სახელე-ბი? ამ შემთხვევაში მოქმედია ორი პრინციპი: ფონეტიკური, ე. ი. გადმოიცემა ისე, როგორც წარმოთქვამენ, და გრაფიკული, ე. ი. გადმოიცემა ისე, როგორც იწერება იმ ენაში, საიდანაც შემოდის. ძველ ქართულში ძირითადი იყო პირველი პრინციპი. ამიტომ იყო, რომ ბერძნული ზ ქართულში გადმოდიოდა ძველ და მოგვიანო პერიოდში ქ-დ წარმოთქმის მიხედვით; მაგ.: მიქაელი (= მიხაილ), აქედან შემდეგ მიქელა და გვარი მიქელაძე; ქრისტე, აქედან ქრისტიანი, ქრონიკა და სხვა შემთხვევები.

ბოლო საუკუნეში მოქმედებდა გრაფიკული პრინციპი. ამით აიხსნება ხმარება სახელებისა და გვარებისა ბროსეტი (ფრანგ. Brosset), გეტე (ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რუსული დაწერილობის მიხედვით Гёте), ასევე რუსულის მიხედვით: გეინე, ლეიბნიცი, ლეიპციგი, ეპიტეტი, გიპნოზი და სხვა. ზეპირი გზით შემოსული სიტყვები, რა თქმა უნდა, წარმოთქმის შესაბამისი იყო. ამიტომ იხმარებოდა: აფიცერი (აფიცარი), კამისია და სხვა.

ამჟამად მიღებულია ფონეტიკური და გრაფიკული, პარალელურად კიდეც ნარევი პრინციპი: ფონეტიკურ-გრაფიკული. ამიტომაც, რომ ვამბობთ და ვწერთ წარმოთქმის მიხედვით: რაიხსტაგი (იწერება: რეიხსტაგ), ბაირონი (იწერება: Вирон); გრაფიკის (დაწერილის) მიხედვით: ჰიუგო (ითქმის: იუგო), ალიგჰიერი (ითქმის და უნდა დაიწეროს ალიგიერი), ტოლსტოი (ითქმის: ტალსტოი, იწერება Толстой...); წარმოთქმისა და დაწერილის მიხედვით: გოეთე (Goethe), კოვალეოვ (Ковалёв) და სხვა.

ყურადღება ექცევა აგრეთვე ტრადიციასაც, როდის და საიდანაა გადმოღებული სიტყვა და როგორი გავრცელება აქვს მას. ნასესხები სიტყვა, თუ ეს დიდხანია დამკვიდრებულია და მასობრივი მოხ-

მარებისა, თუნდაც უკანონო იყოს, დარჩება ენაში; ასეთია: ფერშალი (Фельдшер), ლატარია (латария), კანფეტი (конфета), ხარიტონი, ხარლამპი, ვალტერ სკოტი და სხვა.

საკუთარ სახელთა გადმოცემა

ამჟამად საკუთარ სახელთა გადმოცემის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ფონეტიკური (და ზოგჯერ ფონეტიკურ-გრაფიკული) პრინციპით.

ა) თუ საკუთარი სახელი საერთოა და ქართულისას ჰგავს, მას გადმოვცემთ ქართულის მიხედვით: Александр—ალექსანდრე (მაგ.: ალექსანდრე პუშკინი), Петр—პეტრე (მაგ., პეტრე პირველი), Матвей—მათე, Иван—ივანე და სხვა, მაგრამ თუ ძალზე დაშორებულია, მაშინ გადმოიცემა იმ ენის წარმოთქმის შესაბამისად, საიდანაც შემოდის; მაგ.. თურქ. ისკანდერ (ალექსანდრე), ფრანგ. პიერ (პეტრე), იტალ. ჯოვანნი (იოვანე) და სხვა.

ბ) ტრადიციით გადმოცემული უცვლელად დარჩება: ჰიუგო, ბეთჰოვენი, ნიკოლოზი, გრიგოლი... მოსკოვი და სხვა (დაწვრილებით იხ. ნორმათა კრებულსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში).

უმახვილო ო-ს გადმოცემა

უმახვილო ო-ს შემცველი რუსული და რუსული გზით შემოსული უცხოური სიტყვები ქართულში ორგვარად იხმარება: ა) წარმოთქმის თანახმად ა-თი: კაპიკი, პამიდორი, სალდათი და ბ) დაწერილობის მიხედვით ო-თი: კომიტეტი, კომისია, კონტროლი და სხვა.

ო-თი უნდა ითქვას და დაიწეროს ზოგადი სახელებიცა და გვარებიც და აღამიანისა და გეოგრაფიული საკუთარი სახელები: კომპოტი, კორსეტი, კოსტიუმი... დოსტოვესკი, ბორის გოდუნოვი, ბოროდინი, კოზლოვი... ოდესა, პოლტავა, ორიოლი და ყველა სხვა სიტყვა, რომელთაც ფუძეში ო აქვთ; მაგ.: ვედრო, ბოკალი, პოდპოლკოვნიკი, ოდეკოლონი. კონვერტი, კომპრესი, მონეტა, კომპანია (=ამხანაგობა) და სხვა.

მაგრამ ა-თი დარჩება ადრიდანვე დამკვიდრებული და მასობრივად გავრცელებული სიტყვები: კანტორა, კატლეტი, კაპიკი, ლატარია, სალდათი (უფრო იხმარება: ჯარისკაცი), კანფეტი (конфета),

მაგრამ კონფეტი (κομφετι = წვრილად და მრგვლად დაჭრილი ფერადი ქაღალდი). ცალბასის ნაცვლად იხმარება ძეხვი). ამავე წრეში უნდა მოექცეს და ა-თი ვიხმაროთ: ვაგზალი, კამოდი, პამიდორი, ფარანი.

ა-ზე გათავებული სიტყვათა გადმოცემა

რუსული გზით შემოსული ა-ზე გათავებული უცხოური სიტყვები ქართულში ორგვარად იხმარება: ა) უმეტესად -ა დაბოლოებით: ამპულა, კანტატა, ანტენა, აფიშა და სხვა, ბ) იშვიათად ა-ს მოკვეციტა და სახელობითში ი-დაბოლოებით: გაზეთი (газета), კაფსული (ლათინ. კაპსულა), ციფრი (цифра) და სხვა. იხმარება ორივე სახით: ბომბა და ბომბი, პირამიდა და პირამიდი, ფანერა და ფანერი და ა. შ ბევრ უცხოურ სიტყვას -ა დაერთო რუსულში და აქედან გავრცელდა ქართულში; მაგ., ასეთია: ციტატა (გერმან. ციტატ), რაკეტა (გერმ რაკეტე). კაბინა (ფრანგ. კაბინ) და ასე სხვები. ქართულშიც არის ტენდენცია, რომ თავის საკუთარ სიტყვებსაც გაუჩინოს -ა სუფიქსი: კალათა, ძალა, მელა, წურბელა, წიწილა და სხვა.

კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ა-ზე გათავებული სიტყვები 1) უკვე დამკვიდრებულია და გავრცელებული ქართულში, 2) პარალელური ფორმებიდან უფრო ხშირადაა ხმარებაში ა-ნი, 3) საბრუნებლად ადვილია, 4) ქართულშიც არის ტენდენცია -ა დაურთოს საკმაო რაოდენობის სიტყვებს, და დაადგინა: უცხოური სიტყვები გადმოიკეს ქართულში შუამავალი რუსული ენის გაფორმებით, ე. ი -ა დაბოლოებით. ამიტომ უნდა ვიხმაროთ: ანკეტა, ბარიკადა, გირლანდა, დეპეშა, პარადიგმა, პირამიდა, პლანეტა, რეტორტა, ტურბინა, ციტატა და სხვები.

მაგრამ ა-ს მოკვეციტა და სახელობითში -ი დაბოლოებით დარჩეს ქართულში გაბატონებული ფორმები: ბომბი, ვახტი, კანფეტი, კოორდინატი, ნოტი (მუსიკ., ხოლო ნოტა დიპლომატ.), რეზინი, ფანერი და სხვა სიტყვა სფერა ქართულში დამკვიდრებულია სფეროს სახით და დარჩება: ატმოსფერო, ბიოსფერო, სტრატოსფერო და სხვა.

ეგ-ზე გათავებული სიტყვათა გადმოცემა

რუსულში ეგ-ზე გათავებული უცხოური სიტყვები ქართულში ორგვარად ან სამგვარად არის გაფორმებული: ა) იდეია და იდეა, ლატარეა და ლატარია, ბ) ბატარეია, ბატარია და ბატარეა; გალე-

რეია, გალერია, გალერეა და სხვა. ამ ფორმათაგან თანამედროვე ქართულში დამკვიდრებულია ეა დაბოლოება და ამის კვალობაზე უნდა ითქვას და დაიწეროს: ბაკალეა, ბატარეა, გალანტერეა, გალერეა, იდეა, კისეა, ეპოპეა, ორანეერეა, პიორეა, ქორეა, ტრანშეა... და საკუთარი სახელები: მედეა, დულცინეა... გვინეა, ვანდეა, კორეა და სხვა. მაგრამ ქართულში უცვლელად დარჩება ბამბაზია და ლატარია.

ბუხჰალტერი თუ ბულალტერი?

გერმანული სიტყვა Buchhalter რუსულში გაფორმდა БУХГАЛТЕР-ის სახით და აქედან შემოვიდა ქართულში წერილობითი გზით ბუხჰალტერი და გავრცელდა იგი, როგორც ლიტერატურული ფორმა. მას მეტოქედ გაუჩნდა ზეპირ მეტყველებაში ბულალტერი და ამჟამად მიღებულია წესი ამ სასაუბრო მეტყველების ბულალტერ-ის დამკვიდრებისა. ვფიქრობთ. უმჯობესი იქნება დარჩეს ბუხჰალტერი, ბუხჰალტერია და საბუხჰალტრო. მის სასარგებლოდ ლაპარაკობს: ა) ბუხჰალტერი ლიტერატურული, წიგნური ფორმაა, ბ) გავრცელებულია, გ) დაცულია გერმანული დაწერილობაც და წარმოთქმაც, დ) ანლოსაა რუსულ ფორმასთან, ე. ი. იმ ენის ფორმასთან, საიდანაც ის შემოვიდა. ამდენად გამართლებულია ყოველმხრივ.

ვ ბგერასთან დაკავშირებული მართლწერის . საკითხები

თანხმოვანთაგან ყველაზე მეტ ცვლილებებს განიცდის ვ ბგერა: იგი ხან ჩაერთვის სიტყვაში, ხან ფუძის ნაწილია და ამოვარდება.

დადგენილების თანახმად უნდა დავიცვათ ასეთი წესები: სიტყვის ბოლოთანხმოვანი ვ დარჩება წოდებითში -ო დაბოლოების წინ: თავი წოდებითში თავო („თავო ჩემო“).

ნიავე წოდებითში ნიავეო და ასე: არწიავო, ერისთავო, შავო, ბავშვო, დათვო.

ამავე წესს მისდევს ნაწარმოები სახელები, რომელთა ბოლოში -ავ, -ევ, -ო სუფიქსებია: მბეჭდავო, მოურავო... ნარჩევო, ნაყმევო... გეოგრაფიული სახელები: ნაქალაქევო, თელავო...

ზმნათა I და II პირში -ავ, -ევ, -ოვ თემისეული ვ დაცულია სხვათა სიტყვის -ო ნიშნის წინ: ვაძლევო, აძლევო, დავინახავო, დანახავო, ვქსოვო, ქსოვო, მოვსთხოვო, მოსთხოვო. და სხვა მრავალი.

ვ შემონახულია მაშინაც, როცა ის ბოლოკიდურია და წინ თანხმოვანი უძღვის, ხოლო მაწარმოებლად დაერთვის -ურ, -ობა, -ოვან,

სა—ო, უ—ო, მო—ო: ა) ბავშვური, ჯაჭვური (მიჯაჭვეული)... მაგრამ მოკაყული; ბ) ბავშვობა, მორცხვობა და სხვა; გ) ძარღვოვანი, ჩირგვოვანი... მაგრამ: მრავალრიცხოვანი; დ) უბავშვო, უსიტყვო... უთავო, უღაფო... მაგრამ: უმოძრაო; ე) საბავშვო, საეჭვო... საერისთავო, საღაფო... მაგრამ: საპატიო, საკაცობრიო, სამრეცხაო, სასაკლაო, სასაფლაო, სანაძლეო, სამარხო; ვ) მონათესაფო, მოშაფო, მომეაფო და მსგავსი მოვლენები.

ვ არ დაიკარგება და იწერება, როცა იგი ზმნის ფუძეს განეკუთვნება და მოსდევს -ო ხმოვანი თუ ო-თი დაწყებული სუფიქსი; მაგ.: თხოვება—ვათხოვე, ათხოვე, ათხოვა; ვათხოვო, ათხოვო, ათხოვოთ; უთხოვებია... ვათხოვილი, სათხოვარი...; დატოვება — დატოვოს; მოგროვება — მოაგროვოს...

ფუძის თანხმოვანთან ვ რჩება ნამყო უსრულსა და კავშირებით პირველში -ოდ სუფიქსისა და კავშირებით მეორეში -ო ბოლოსართის წინ; მაგ.: იწვის — იწვოდა, იწვოდეს
ილტვის — ილტვოდა, ილტვოდეს
იელვა — იელვოს

გავაკვირო, გააკვიროს; დააეჭვოს, დაიბრიყვოს, იცეკვოს და სხვა, მაგრამ ვ დაკარგულია: იტყოდა, ეტყოდა, უძლოდა, ებრძოდა, ესროდა.

პირველი სუბიექტური პირის თავსართი ვ- იწერება ვ, უ ან ო-თი დაწყებულ ზმნებში: ვვარდები, დავვარდი; ვვარგვარ, ვვარჯობ, ვვარჯიშობ, მოვვლე, მაგრამ: მე მოვალ, მე მოვედი.

უ-ს წინ:	ვუგზავნი,	ვუკითხავ,	დაუწერე	და	სხვა.
ო-ს წინ:	ვოცნებობ,	გაოცდი,	დავობლდი	და	სხვა.

ზმნის თავკიდური ვ- რჩება, როცა პირველი ობიექტური პირის გვ- თავსართი გვაქვს: დავგვარცხნა ჩვენ (თმა), შეგვევაჭრებია, მოგვეგვარეს, ჩაგვეარღნია, გაგვევითარებია...

ვ ჩნდება ხმოვანზე გათავებულ სიტყვებში, როცა მისგან წარმოქმნილებს დაერთვის მე—ე, სა—ე, სი—ე, -ება სუფიქსები: ა) ტყემეტყევე და ასევე: მეეზოვე, მეკუბოვე... ბ) რძე: სარძევე და ასევე: საეზოვე... მაგრამ: საბუე; გ) სუფთა: სისუფთავე და ასევე: სიბრმავე, სიმწნევე, სიფართოვე, სიანლოვე..., მაგრამ -უ-ზე გათავებულს ვ არ დაერთვის: სიყრუე, სიცრუე; დ) -ებ, -ება სუფიქსით ზმნათა და ნაზმნარ სახელთა წარმოქმნისას. ხე: ახეებს, გაახეებს, გაახევა (გავახევე, გაახევე), გაუხევებია... გახეება, გახე-

ვებული, გასახევებელი... და ასევე: ამზევებს, გაამზევა, გაუმზევე-
ბია... გამზევება, გამზევებული, გასამზევებელი...

ასუფთავებს, გაასუფთავა (გავასუფთავე, გაასუფთავე), გაუ-
სუფთავებია... გასუფთავება, გასუფთავებული და სხვა. მაგრამ ვ
არ ჩაერთვის მეორე კავშირებითში (კითხვაზე — რა ქნას?) -
სუფიქსის წინ.

გავახეო, გაახეო, გაახეოს...

გავამზეო, გაამზეო, გაამზეოს...

გავამხნეო, გამხნეო, გამხნეოს...

გავასუფთაო, გაასუფთაო, გაასუფთაოს და სხვა.

-ო და -უ ხმოვანზე გათავებულ სახელებს -ებ სუფიქსის წინ
ვ არ ჩაერთვის:

უთო: აუთოებს, აუთოოს, გაუუთოებია... გაუთოება, გაუთოე-
ბული, გასაუთოებელი... და ასევე: ავიწროებს, დავავიწროო, და-
ავიწროოს, დაუვიწროებია, დავიწროება...

აჯილდოებს, დააჯილდოოს... დაჯილდოება...

ყრუ: აყრუებს, დავაყრუო, დააყრუა, დააყრუოს, დაუყრუებია...
დაყრუება, დაყრუებული, დასაყრუებელი და ასევე: იცრუებს, იც-
რუოს და სხვა. ამითგან -ო-ზე გათავებულ ზმნებს ნამყო წყვე-
ტილში ვ ჩაერთვის -ს შემდეგ:

დავაჯილდოვე, დააჯილდოვე, დააჯილდოვა, მაგრამ უ-სთან ვ
არაა: დავაყრუე, დააყრუე, დააყრუა და სხვა.

რთული სიტყვების მართლწერა

იანობიოია, რომ რთული სიტყვა (კომპოზიტი) ორი და მეტი
ფუძისაგან შედგება. კომპოზიტი მიიღობა სამი საშუალებით:

ა) ფუძის გაორკეცებით (გაორმაგებით), მაგ.: დაბუღუღა,
ქუჩა, ჭრელ-ჭრელი...

ბ) სხვადასხვა ფუძის შეერთებით: ცოლ-ქმარი, ერთგული...
და გ) ორი სიტყვის შეერთებით, რომელთაგან პირველი რომელიმე
ბრუნვაშია: ჭარისკაცი, თავქუდმოგლეჯილი...

მნიშვნელობა კომპოზიტის ან ყველა შემადგენელ ნაწილს შე-
ნარჩუნებული აქვს (და-ძმა, ცოლ-შვილი, ქართლ-კახეთ-იმერეთ-
გურია-სამეგრელო...) და მაშინ ორ- და მეტცნებიანია, ან ყველა
წევრს ერთი მნიშვნელობა აქვს (ხელმოკლე = ღარიბი, ქარიყლაპია
თევზია) და სიტყვაც ერთცნებიანია.

რთული სიტყვა იწერება ორგვარად: ან დეფისით (გამყოფი
მოკლე ხაზით), ან ერთად, უდეფისოდ.

დეფისით იწერება ორ- და მეტცნებიანი კომპოზიციები, რომელთა შემადგენელ წევრებს თავ-თავისი მნიშვნელობა აქვთ და მათ შორის და კავშირი შეიძლება ჩაისვას; ასეთებია: ა) ბედ-იღბალი (=ბედი და იღბალი), ძალ-ღონე. მიშველ-ტიტველი და სხვა; ბ) დღე-ღამე (=დღე და ღამე), მთა-ბარი, უფროს-უმცროსი, მტერ-მოყვარე; გ) დედ-მამა (=დედა და მამა), და-ძმა, ცოლ-შვილი, კარ-პიდაპო, აგურ-კრამიტი, წვერ-ულვაში, ხელ-ფეხი და სხვა.

ასევე გეოგრაფიული სახელები: ფშავ-ხევსურეთი (=ფშავი და ხევსურეთი), გურია-სამეგრელო... თბილის-მოსკოვი, მოსკოვ-ლენინგრადი და სხვა. ქალთა გვარები: გონაშვილ-პოპიაშვილი, მგალობლიშვილ-პაიჭაძე... დ) ზმნებისა ან ნაზმნარი სახელებისგან შედგენილი კომპოზიციები: აათვალთვალ-ჩათვალთვალა, ახედ-დახედა, აატა-დაატა, მიედებ-მოედება, მიდი-მოდის... მიწერ-მოწერა... ამვლელ-ჩამვლელი, არეულ-დარეული... ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი... ე) ერთ-ერთი (=ერთი და ერთი), ორ-ორი, სამ-სამი... უბან-უბან. ტყე-ტყე... მალალ-მალალი, ჭრელ-ჭრელი და სხვა.

უღეფისოდ, ერთად იწერება ერთცნებიანი კომპოზიციები, რომელთა წევრების მნიშვნელობა ერთია და წევრთა შორის და კავშირი არ ჩაისმის; ასეთებია:

ა) ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიციები: თავთავი, თვალთვალი, დაფდაფი. წამწამი და -ა სუფიქსიანი; წყალწყალა, ქონაქონა (მცენ)... ბუტბუტი, კაქკაქი, ძაგძაგი, ჭიკჭიკი, ხარხარი... და -ა სუფიქსიანი: კაშკაშა, რაკრაკა, ციმციმა და სხვა. აქვე შემოდის ისეთი კომპოზიციებიც, რომელთა ერთ-ერთ ფუძე შეცვლილი აქვს ხმურვანი თუ თანხმოვანი ან შარცვალი, ანდა თანხმოვანი აქვს დართული: აბდაუბდა, ბალახბუღასი, რამერუჟე, ჭიჭუა, ხევხუვი, ხურდამურდა... გიჟმაჟი, ქონმაზი... არემარე, ახლომახლო, ავანჩავანი და სხვა მრავალი

ბ) და კავშირით შეერთებული გაორკეცებული ფუძეების შემცველი: გულდაგულ, კვალდაკვალ, ხმალდახმალ, ცხენდაცხენ... თანდათან, წინდაწინ, ხანდახან..

გ) სხვადასხვა ფუძის შემცველი კომპოზიციები: ვაჟკაცი, დედაბერი, დედამიწა, ქვანახშირი... ორლობე, ათასი, ხუთასი... გეოგრაფიული სახელები: ახალქალაქი, ცხრაწყარო, ქალადიდი და სხვა მრავალი. ასევე: გრძელთავა, გრძნობამორეული, გულამომგდარი, თავდადებული, სახელმთხვექილი, ხელმოჭერილი, თავპირდამტვრეული, წვერულვაშგათეთრებული...

დ) კომპოზიციები, რომელთა პირველი წევრი რომელიმე ბრუნვაშია, თუმცა შეიძლება ბრუნვის ნიშანი დაკარგული იყოს: ბერიკაცი, ავადმყოფი, მაგრამ: თავმჯდომარე, წყალქვეშა და სხვა.

მოქმედებითში ორი მაგალითია: ქვიტყირი (= ქვითყირი), კირხურო. ყველაზე მეტი მაგალითი მოგვეპოვება ნათესაობითის ფორმით, მაგრამ ზოგჯერ გვიქირს გარკვევა, კომპოზიტთან გვაქვს საქმე, თუ არა. უდავოდ კომპოზიტია, თუ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი მოკვეცილია: მამიდა (= მამის და), დეიდა (= დედის და), დედინაცვალი, წუთისოფელი, ზმნისართი. ტანისამოსი, რკინიგზა და სხვები; -ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებული სახელები: მამიდაშვილი, დეიდაშვილი, ბიძაშვილი, დიშვილი, შვილიშვილი, მამულიშვილი და გვარბა: დავითაშვილი, დედაბრიშვილი, იაკობაშვილი... ქავქავაძე, გიორგაძე...

კომპოზიტია აგრეთვე: თავსუფალი, ძმისწული, ერისთავი... ფერის შემკველი სიტყვები: იისფერი, ცისფერი, ხორცისფერი... ენკენისთვე, ღვინობისთვე... ცხენისწყალი, უფლისციხე, მეჯვრისხევი და სხვა მრავალი.

ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი სულ მოკვეცილია: ხელსახოცი (= ხელის სახოცი), პირსახოცი, ხელშეწყობა (= ხელის შეწყობა)... ასეა თანაბნ მრავლობით რიცხვში, როცა თ ან სულ დაკარგულია, ან ემფატიკური -ა არ ახლავს: ნავსადგური (= ნავთსადგური), წიგნსაცავი... მიწათმოქმედი, მეფეთმეფე... მაგრამ: მკათათვე, მზეთაშხე...

-თა დაბოლოებიანი კი ჩვეულებრივ ცალკე იწერება: გმირთა გმირი, მეფეთა მეფე და სხვა.

ე) და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები: ოცდაერთი, ორმოცდაშვიდი. სამოცდათხუთმეტი და სხვა

ნასესხები სიტყვები და საკუთარი სახელები იწერება ისე, როგორც ის არის წარმოდგენილი იმ ენაში. საიდანაც სესხება სდება; მაგ., რუსულში: კამენეც-პოდოლსკი. ბესტუჟევ-რუჰონი... მაგრამ ინგლისურში: ნიუ-იორკი. იტალიურში: ლეონარდო და ვინჩი... ესპანურში: დონ კიხოტი და სხვა მრავალი

ადამიანის სახელთა მართლწერილობის

ადამიანის სახელები ბოლოვდება ხმოვანზე (მაცვალა, სრია... ლუჯა, ივანე, დუტუ...) ან თანხმოვანზე (მარიამ-ი, არჩილ-ი, ლიპარი, გაბრიელ-ი...). საკუთარ სახელთა ბოლოს -ი ორი დანიშნულებით

1. გარკვეულ სახელებში ფუძეს განეკუთვნება და ყველა ბრუნვაში რჩება მოუკვეცელად, ან 2. სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ბრუნვებში არ რჩება. ამიტომ პირველი ჯგუფის სახელთა ფუძე -ი ბოლოხმოვნია (აკაკი, ალექსი, გიორგი...), ხოლო მეორე ჯგუფის სახელთა ფუძე ბოლოთანხმოვნია (არჩილ-ი, ანზორ-ი, დავით-ი, ვახტანგ-ი). ბრუნების დროს მათ შორის განსხვავებაა: მაგ.,

სახელობითი	აკაკი	შდრ.	ვახტანგ-ი
მოთხრობითი	აკაკი-მ		ვახტანგ-მა
მიცემითი	აკაკი-ს		ვახტანგ-ს
წოდებითი	აკაკი		ვახტანგ

როგორ გვარჩიოთ, როდის არის -ი ფუძისეული და როდის სახელობითის ნიშანი? გასარჩევად არის ორი საშუალება: 1) -ი ფუძისეულია, თუ ბერძნულში მის ადგილას არის დაბოლოება -იოს (აკაკიოს...), ან რუსულში -ий, -ый, -й ან კიდევ и; მაგ.: Акакий, Георгий, Дмитрий, Климентий... Горький, Городецкий, Козловский... Буденный... Коллонтай... Толстой... Гарibaldi... აგრეთვე გეოგრაფიული სახელები: Дели, Триполи და სხვა.

გვარების წინ ნახმარ ასეთ სახელებში -ი სავალდებულოა დარჩეს: აკაკი სვანიძე, ალექსი გიორგაძე, არკადი მესხი, გერონტი ლეშაშელი, გიორგი ავალიანი და სხვა.

2) -ი ფუძისეული არ არის და სახელობითის ნიშანია, როცა მისი მოკვეცა შესაძლებელია და გვარების წინ სახელთა ხმარება -ის გარეშე შეიძლება; მაგ.: არჩილ, ავთანდილ, ტარიელ, ყარამან... თამარ გასვიანი, რუსუდან ურუშაძე, აპოლონ მგალობლიშვილი, ვალაქტიონ ჭავჭავანიძე, დარისპან გიორგაძე, უშანგ მოდებაძე და სხვა მრავალი.

ბრუნების დროს პირველი ჯგუფის სახელებში სავალდებულოა -ი დარჩეს მოთხრობითსა, მიცემითსა და წოდებითში. ამგვარად გვექნება:

სახელობითში	მოთხრობითში	მიცემითში	წოდებითში
ავქსენტი	ავქსენტიმ	ავქსენტის	ავქსენტი
ამბროსი	ამბროსიმ	ამბროსის	ამბროსი
გენალი	გენალიმ	გენალის	გენალი
დიმიტრი	დიმიტრიმ	დიმიტრის	დიმიტრი
ტერენტი	ტერენტიმ	ტერენტის	ტერენტი

და ასევე: ამბერკი, არკადი, ალათი, ბადრი, ბიკენტი, გერვასი, გივი, დალი, დაჩი, დევი, დესი, დომენტი, ევგენი, ევსევი, ევტიხი,

ერასტი, ვალერი, ვახუშტი, ირაკლი, იური, კორნელი, ლეონტი, ლალი, ლილი, მელენტი, მერი, მექი, ნანი, ნანული, პანკრატი, პროკოფი, რატი, სევასტი, სერგი, ტარასი, ქუჭი, ხარლამპი და სხვა.

რაც შეეხება ბოლოთანხმოვნიან სახელებს, მათი რაოდენობა დიდი. სახელობითის გარდა -ი არც ერთ ბრუნვაში არ ჩანს, მათ შორის წოდებითშიც; წოდებითში მხოლოდ ფუძის სახით იხმარება; მაგ.:

ასმათ-ი, ასმათ-მა, ასმათ-ს, ასმათ!

აბესალომ-ი, აბესალომ-მა, აბესალომ-ს, აბესალომ!

გურამ-ი, გურამ-მა, გურამ-ს, გურამ! და ასევე: გულნაზ-ი, დავარ-ი, ეთერ-ი, ივლით-ი, ფატმან-ი... ალფეს-ი, ბაკურ-ი, ბესიკ-ი, გოდირძ-ი, მერაბ-ი, ნოდარ-ი, როინ-ი, სეით-ი, უშანგ-ი და სხვა მრავალ-ი.

სიის შედგენისას საკუთარი სახელი გვარის წინ იქნება თუ შემდეგ, ერთნაირად გაფორმდება: -ი ფუძიანები -ი-ს ინახავენ, ხოლო -ი ბრუნვის ნიშანი იკვეცება; მაგ., -ი-ს ინახავენ:

გივი ასათიანი	ან	ასათიანი გივი
დალი ვაჩიშვილი		ვაჩიშვილი დალი
ლალი მენთეშაშვილი		მენთეშაშვილი ლალი
მერი ხვედელიძე		ხვედელიძე მერი
მექი ლომთათიძე		ლომთათიძე მექი

მაგრამ ი არ აქვთ:

ასმათ დადიანი	ან	დადიანი ასმათ
ბაქარ ერგემლიძე		ერგემლიძე ბაქარ
დარეჯან ვაშაძე		ვაშაძე დარეჯან
ეთერ ზურაბიანი		ზურაბიანი ეთერ
იაგორ იოსებიძე		იოსებიძე იაგორ
ისაკ კერვალიძე		კერვალიძე ისაკ
ოქროპირ შერვაშიძე		შერვაშიძე ოქროპირ და სხვა.

თანდებულთა დართვისას ფუძისეული -ი რჩება; მაგ.: ქალაქ გორკიში მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლია, ლაპარაკობენ გივიზე და სხვა.

ზმნასთან მრავალი სადავო საკითხია დაკავშირებული. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე რთულ მოვლენას.

3- და ს- თავსართები ზმნაში

ძველ ქართულში IX—XI საუკუნეებში 3- აბ ს- გამოხატავდა II სუბიექტურ (მოქმედ) პირს — შენ ან თქვენ-ს და III ობიექტურ (სამოქმედო) პირს — მას ან მათ; მაგ.:

II პირი:

შენ სცხოვრობ
 ღწვენი სცხოვრობთ

შენ ჰგორავ
 თქვენ ჰგორავთ

III პირი:

მე ვსცემ მას (მათ)
 შენ სცემ მას (მათ)
 იგი სცემს მას (მათ)

ვკვეთ მას (მათ)
 ჰკვეთ მას (მათ)
 ჰკვეთს მას (მათ)

XII საუკუნიდან მათი ხმარება აირია. სრული უწესრიგობა შე-
 რტანა ანტონ პირველის გრამატიკულმა წესებმა. მიუხედავად XIX
 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთა დიდი ცდისა, რომ ნორმა
 დაედგინათ, საკითხი ამ ბოლო დრომდე მოუგვარებელი დარჩა.

დღეს უკვე საფუძვლიანადაა შესწავლილი ძველი და თანამედ-
 როვე ვითარება და შემდეგი წესებია შემუშავებული და სავალდე-
 ბულოდ მიღებული.

ჰ- და ს- თავსართები სულ არ იხმარება ერთპირიან ზმნებთან,
 რომელთაც შეეწყობა მხოლოდ ერთ-ერთი ნაცვალსახელთაგანი მე
 ან შენ, ის (იგი ან მისი მონაცვლე არსებითი სახელი), ჩვენ, თქვენ,
 ან ისინი (იგინი ან ამის ნაცვლად არსებითი სახელი მრავლობით
 რიცხვში). მაშასადამე. ითქმის და იწერება:

მე	ვღავარ	ვჩანვარ	ვკვდები
შენ	დგასარ	ჩახხარ	კვდები
ის	დგას	ჩანს	კვდება
ჩვენ	ვღავართ	ვჩანვართ	ვკვდებით
თქვენ	დგახართ	ჩახხართ	კვდებით
ისინი	დგანან	ჩანან	კვდებიან

და ასევე II პირში: შენ ტირი, ჩივი, ჭყვი, დგები, ქვები... კი-
 ვი, ყივი, მიქრი, მოკურცბლავ...

თქვენ ტირით, ჩივით... კივით. მიქრით...

III პირში: შედგა კრება, წარმოებს ძიება, ყვავის, აყვავდა გუ-
 რია, შეკრთა ბავშვი, რბის, ბლავის, ქრის, ქრება და სხვა.

II პირის სუბიექტური თავსართი ჰ- და ს- არ იხმარება აგ-
 რითვე გარდამავალ ზმნებთანაც:

შენ ბარავ, გრებს, გვი, კლავ, კრეთ, ქსოვ, ყლაპავ... დაბარე, დაგრიხე, დაგავე, მოკალი, დაკრიფე, მოქსოვე, გადაყლაპე და სხვა.

თქვენ ბარავთ, გრებთ, გვით. კლავთ, კრეთთ, ქსოვთ, ყლაპავთ... დაბარეთ, დაგრიხეთ, დაგავეთ, მოკალით და სხვა.

ჰ- და ს- თავსართები არ უნდა ვიხმართ აგრეთვე ორპირიან ვარდამავალ ზმნებთან, რომელთაც ზემოდასახელებულ ნაცვალსახელებთან და მან ან მათ სუბიექტთან ერთად ობიექტად ახლავს მას, მათ ან ის (იგი), ისინი (იგინი). როგორც ცნობილია, ორპირიან ვარდამავალ ზმნას აქვს პირდაპირი ობიექტი (დამატება), რომელიც აწმყოსა და მყოფადში და მათგან ნაწარმოებ დრო-კილოებში დასმულ ზმნასთან მიცემით ბრუნვაში დგას და ნამყო წყვეტილსა და მისგან წარმოქმნილ ფორმებში დაყენებულ ზმნასთან — სახელობითში. მაშასადამე, III პირდაპირ ობიექტურ პირს თავსართი არა აქვს; მაგ.,

ჰ- არაა:

აწმყოში

მე ვკრეფ

შენ კრეფ

ის კრეფს

მყოფადში

მოკრეფ მას (მათ)

მოკრეფ მას (მათ)

მოკრეფს მას (მათ) და ა. შ.

ნამყო უწყვეტელში

მე ვკრეფდი

შენ კრეფდი

ის კრეფდა

ხოლმეობითში

მოკრეფდი მას (მათ)

მოკრეფდი მას (მათ)

მოკრეფდა მას (მათ) და სხვა.

ნამყო წყვეტილში

მე მოკრიფე

შენ მოკრიფე

მან მოკრიფა

II კავშირებითში

მოკრიფო ის (ისინი)

მოკრიფო ის (ისინი)

მოკრიფოს ის (ისინი) და სხვა.

და ასევე: ბარავს, გრებს. ზელს, კლავს, ლესავს, მართავს, ნახავს, ეღენთს, რეკავს, სპობს, ღერღავს, შლის, ხრის — დაბარა, დაგრიხა, მოზილა და სხვა.

ასევე ს- არაა:

ვღებ, დებ, დებს

ვღლი, თლი, თლის,

ვწერ, წერ, წერს...

დავღევო, დავღეო, დავღო

გავთალე, გათალე, გათალა

დაწვიე, დაწვიე, დაწვირა...

თესავს, ჩიჩქნის, ცელავს, ძეხნავს, წნავს, კანს — დათესა, მოჩიჩქნა, მოცელა, მოძეხნა, დაწნა, შექამა, თქვა, გაცვალა და სხვა.

III პირის ირიბი ობიექტის ნიშანი ჰ- და ს- იხმარება სამპირიან ვარდამავალ ზმნებთან, რომელთაც ზემოდასახელებულ ნაცვალსა-

ხელთა გარდა დაერთვის მას ან მათ როგორც აწმყო-მყოფადისა-
გან, ისე ნამყო წყვეტილისაგან ნაწარმოებ ფორმებთან. მას ან მათ
ნაცვალსახელი ან მათი მონაცვლე არსებითი სახელი ირიბი ობიექ-
ტია. მაშასადამე, ჰ- ან ხ- III პირის ირიბი ობიექტის გამომხატვე-
ლი თავსართებია. ამ წესის თანახმად უნდა ვთქვათ და ვწეროთ ჰ-:

აწმყოში	ნამყო უწყვეტელში
მე ვკითხავ	ვკითხავდი მას მას (მათ)
შენ კითხავ	კითხავდი
ის კითხავს	კითხავდა

ნამყო წყვეტილში	II კავშირებითში
მე ვკითხე	ვკითხო მას ის (მათ ისინი)
შენ კითხე	კითხო
მან კითხა	კითხოს

უნდა ვთქვათ და ვწეროთ ს-:

აწმყოში	მყოფადში
მე ვსთხოვ	მოვსთხოვ მას მას (მათ მათ)
შენ სთხოვ	მოსთხოვ „
ის სთხოვს	მოსთხოვს „ და სხვა.

ნამყო წყვეტილში	II კავშირებითში
მე ვსთხოვე	მე ვსთხოვო მას ის (მათ ისინი)
შენ სთხოვე	შენ სთხოვო „
მან სთხოვა	მან სთხოვოს „

და ასევე: აპკილებს — აპკიდა, ჰგვრის — მოჰგვარა, ჰკვეთს —
მოჰკვეთა, ჰკადრებს — ჰკადრა, მოჰკრავს — მოჰკრა (თვალი), ჰპა-
რავს — მოჰპარა, ჰტყანს — მოჰტყანა და სხვა.

სწირავს — შესწირა (მსხვერპლი), სწამებს — დასწამა, ჩასძა-
ხებს — ჩასძახა, მისცემს — მისცა და სხვა.

III პირის ირიბი ობიექტის ნიშანი ჰ- და ს- იხმარება ორპი-
რიანი საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებთან; მაგ.:

ა) საშუალო გვარის ზმნებთან:

ვჭავეარ, ჰგაეხარ, ჰგავს, ვჭავეართ, ჰგაეხართ, ჰგევანან

ვჭავედი, ჰგავდი, ჰგავდა, ვჭავედე, ჰგავდე, ჰგავდეს და სხვა.

და ასე: ჰყავს, ჰყოლია, ჰყვარებია, ჰქონია და სხვა.

მოვსწონვარ, მოსწონხარ, მოსწონს, მოვსწონვართ, მოსწონხართ,

მოსწონთ... მოვსწონებივარ, მოსწონებიხარ, მოსწონებია; მოვსწონებოდი, მოსწონებოდი, მოსწონებოდა; მოვსწონებოდე, მოსწონებოდე, მოსწონებოდეს.

და ასევე: სძულს, სძაგს, სძინავს, სწამს, სწყინს, სჯობს (ის მას), დასტრიალებს (ის მას) და სხვა.

ბ) ვნებითი გვარის ზმნებთან:

ბ- და ს- ნიშანი ორპირიან ვნებითი გვარის ზმნებთან ჩვეულებრივ გვაქვს I თურმეობითში (კითხვაზე: რა მოსვლია?), II თურმეობითსა (რა მოსვლოდა?) და III კავშირებითში (რა მოსვლოდეს?).

ეპარება — მივპარევივარ, მიპპარევიხარ, მიპპარევია;

მივპაროდი, მივპაროდე... გავპარევივარ, გავპაროდი, გავპაროდე...

შეპარვია, შეპაროდა, შეპაროდეს...

და ასევე: შეპბრალებია, დაპბარვია, გაპკიდებია, მოპკიდებია, მოპკრძალებია.

ეწვევა—ვსწვევივარ, სწვევიხარ, სწვევია; ვსწვეოდი, სწვეოდი, სწვეოდა; ვსწვეოდე, სწვეოდე, სწვეოდეს...

და ასევე: დასწერია, დასცემია, მისძალებია, მოსჩვენებია და სხვა მრავალი.

აგონდება — მოვპგონებივარ, მოპგონებიხარ, მოპგონებია;

მოვპგონებოდი, მოპგონებოდი, მოპგონებოდა;

მოვპგონებოდე, მოპგონებოდე, მოპგონებოდეს...

და ასევე: დაპბერებია, გაპკეთებია, დაპპირებია, გაპტროხილებია, შეპყვარებია და სხვა.

გამოვუტყდები — გამოვსტყდომივარ, გამოსტყდომიხარ, გამოსტყდომია; გამოვსტყდომოდე და სხვა.

და ასევე: შესდედებია, გასტკბილებია, გასთავებია, გასთენებია.

ბ- და ს-, როგორც III პირის ირიბი ობიექტის, ზოგჯერ რეალური სუბიექტის ნიშანი, იხმარება ორპირიან საშუალ და სტატიკურ ვნებითთან; მაგ.:

საშუალი გვარის ზმნასთან: ცხელა (გარეთ), 'მაგრამ სცხელა (მას), ორპირიან სტატიკურ ვნებითთან: ვპკლებივარ, პკლებიხარ, პკლებია....

და ასევე: პგონია, პბმია, პფენია, პქვია და სხვა.

ვსჩვევივარ, სჩვევიხარ, სჩვევია...

და ასევე: სცხია, სჭერია...

ერთპირიანებს, რა თქმა უნდა, ჰ- ან ს- თავსართი არ ექნება: წერია. გღია, ყრია. თესია და სხვა

არის ზმნები, რომლებიც ორპირიანებიც შეიძლება იყვნენ და სამპირიანებიც. მიღებული წესის თანახმად ორპირიანებს ჰ- ან ს- თავსართები არ ექნება, სამპირიანებს კი უნდა ჰქონდეთ; მაგ.:

მე ვტებ, გავტებ (ჯოხს) — გავტებე (ჯოხი)... მაგრამ მე ვატებ, მოვატებ (ბელს დოქს) — მოვატებე (ბელი დოქს) და ასევე: მე ვწერ (წერალს) — დავწერე (წერილი)... მაგრამ: მე ვსწერ—მივსწერე მას წერილი. მე ვწმენდ (ფეხსაცმელს) — გავწმინდე (ფეხსაცმელი)... მაგრამ მე ვსწმენდ (მას ნამუსს)—მოვსწმინდე (მას ნამუსი) და სხვა.

ასეთივე შეპირისპირება გვაქვს ერთპირიან და ორპირიან გარდაღვალ ზმნებთანაც; მაგ.:

წყდება (ხალხი) და სწყდება (მას გული)

ტყდება (კოკა) და სტყდება (კოკას ხელი)

და ასევე: დის (მდინარე) და სდის (მას ოფლი)

ქირს (საქმე) და სქირს (მას უბედურება)

ჯობს (ასე) და სჯობს (ის მას)

აქვე შემოდის: ცივა (გარეთ) და სცივა (მას)

ცხელა (გარეთ) და სცხელა (მას) და სხვა.

ჰ- იხმარება თანამედროვე ქართულში შეიდი თანხმონის წინ; ე-ენია: ბ ფ ჰ გ ქ კ და უ, ხოლო ს- უნდა ვიხმაროთ ცხრა თანხმონის წინ; ესენია: დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჰ. დანარჩენი თანხმონების წინ ჰ- ან ს- თავსართი არაა საჭირო. მაშასადამე, ერთი მხრივ გვაქვს: დაჰბერებია, გასთეთრებია, მაგრამ, მეორე მხრივ: დამონებია, განიავებია, გალურჯებია, დარეგია, დასეგია და სხვა.

I პირის სუბიექტის ვ- თავსართის გვერდით შეიძლება არ ვიხმაროთ III პირის ობიექტის ნიშანი ჰ- ან ს-, მაშასადამე, გვექნება პარალელური ფორმები:

ვკგონივარ და ვგონივარ; ვკითხავ და ვკითხავ, შევსთავაზე და შევთავაზე და სხვა მრავალი. უკანასკნელი ფორმები გატარებული აქვს ილია ჭავჭავაძეს.

ობიექტის ს- თავსართი რამდენიმე ზმნას შეუხსორცდა და, მიუხედავად მისი უკანონო ხმარებისა, იგი უნდა ვთქვათ და ვწეროთ. ასეთი ზმნებია:

ავსწევ,

ასწევდა,

ასწია,

ასწიოს

გასწევს,

გასწევდა,

გასწია,

გასწიოს

გატანს, გასტანდა, გასტანა, გასტანოს
გასცემს, გასცემდა, გასცა, გასცეს
გამოსცემს, გამოსცემდა, გამოსცა, გამოსცეს.

ესენი და ყველა ასეთი ზმნა შეტანილია ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

პირველ თურმეობითსა (კითხვაზე: რა უპნია?) და მეორე თურმეობითში (რა მქნა?) ნახნარ ზმნებთან დაკავშირებული სადავო საკითხები

ა) -ებ სუფიქსიანი გარდამავალი (პირდაპირობიექტიანი) ზმნები მეორე თურმეობითში (რა ვქნა?) სამი სახით გვხვდება:

I თურმეობითში

უბრძანებია
დაუშვენიებია
დაესახლებია

II თურმეობითში

ებრძანებინა, ებრძანებია და ებრძანა
დაემშვენიებინა, დაემშვენიებია და დაემშვენა
დაესახლებინა, დაესახლებია (და დაესახლა) და სხვა.

ამ სამი პარალელური ფორმიდან უკანასკნელი სახე (-ებ სუფიქსის გარეშე) ძველ ქართულში იყო დამკვიდრებული, მაგრამ დღეს დიალექტიზმს წარმოადგენს და თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება.

რაც შეეხება სეორე (უ-ნ-არო) სახეს, ისაც დიალექტიზმია და ამდენად არაა მისაღები. სავალდებულო ნორმად მიღებულია — ებ-ინ-ა სუფიქსიანი ფორმებო. ამიტომ უხდა ვთქვათ და ვწეროთ: აეშენებინა, დაემკვიდრებინა, გაეკეთებინა, გაედლიერებინა, გაეჯრცელებინა, დაესუსტებინა და სხვა მრავალი.

II თურმეობითს ემყარება III კავშირებითი (კითხვა: რა ექნას?) და გვაქვს:

აეშენებინოს, დაემკვიდრებინოს, გაეკეთებინოს, გაედლიერებინოს, გაეჯრცელებინოს, დაესუსტებინოს და სხვა.

-ებინ სუფიქსები რჩება ზმნის პირებში ცვლის დროსაც:

დამესახლებინე, დამესახლებიხა, დაგვესახლებინე, დავესახლებინა, დაგესახლებინე, დაგესახლებინა და სხვა.

ბ) -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები პირველ თურმეობითში ორი, ზოგჯერ სამი სახით იხმარება სასაუბრო მეტყველებაში: გაულეწაყა, გაულეწია და გაულეწინა; შეუწვაეს და შეუწვია; დაუბამს და დაუბანა; უთქვამს და უთქვია და სხვა.

ამ პარალელური ფორმებიდან კანონიერად ითვლება პირველი სახე. ამას ადასტურებს შემდეგი:

1. პირველი თურმეობითი საერთოდ ემყარება აწმყოს ფუძეს. მა-

შასადამე, ამწყობი თუ ზმნას აქვს თემისეული სუფიქსი -ავ ან -ამ, ის გადაჰყვება პირველ თურმეობითშიც: ხატავს — დაუხატავს, იცვამს — ჩაუცვამს და სხვა.

2. ასეთი წარმოება ძველ ქართულში ნორმა იყო, იგი გადმოვიდა ახალ ქართულში და გაბატონდა.

3. -ა დაბოლოებიანი ფორმა (დაუბია, უთქვია...) დიალექტიზმია და მიღებულია აუშენებია, გაუცვლია ტიპის ზმნათა ანალოგიით.

4. -ნ-ი-ა სუფიქსებიანი ფორმაც (გაულეწნია...) დიალექტური წარმოშობისაა და ამდენად ლიტერატურული ენისათვის მიუღებელია.

ამიტომ ერთადერთ მართებულ წარმოებად მიღებულია -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: დაუბარავს, დაუდაგავს, მოუკლავს, დაუმალავს, დაუნახავს, მოუპარავს, დაურგავს, დაუსერავს, დაუხატავს და სხვა.

დაუდგამს, აღუთქვამს, დაურტყამს, ჩაუცვამს და სხვა.

პირველ და მეორე პირთან ურთიერთობისას ფორმათა სამი სახე გვაქვს:

მე მას დავუხატავარ, დავუხატივარ და დავუხატივარ
შენ მას დაუხატავხარ, დაუხატიხარ და დაუხატიხარ
შენ მე დამიხატავხარ, დამიხატიხარ, დამიხატიხარ
მე შენ დაგიხატავარ, დაგიხატივარ და დაგიხატივარ
დაუბამხარ, დაუბიხარ, დაუბამვარ, დაუბივარ და დაუბმევარ.

ამათგან პირველი სახეა მართებული. ამას ამტკიცებს შემდეგი:

- ა) საერთო ფუძეა ყველა პირისათვის -ავ და -ამ სუფიქსიანი;
- ბ) ნარევია დაუხატავს და დაუხატიხარ თუ დაუხატიხარ;
- გ) -ი-ნიანი ფორმა დიალექტიზმია და იგი მიზეზია III პირში -ი-ა სუფიქსის გაჩენისა (დავუხატივარ, დაუხატიხარ, დაუხატია).

ამდენად, სავალდებულოდ მიღებულია -ავ და -ამ სუფიქსის დაცვა ყველა პირში: დავუხატავარ, დაუხატავხარ, დაუხატავს; დავუმალავარ, დაუმალავხარ, დაუმალავს...

შენიშვნა. I პირში მოსალოდნელი იყო ორი ვ: ერთი -ავ სუფიქსისა და მეორე მეშველი ზმნისა; მაგრამ ერთი იკარგება: დავუმალავ-ვარ იქცა დაუმალავარ.

გვხვდება ზმნები, რომელთაც პარალელური ფორმები აქვთ I თურმეობითში -ი-ა და -ნ-ი-ა, ხოლო II თურმეობითში -ა და -ნ-ა დაბოლოებიანი; მაგ.:

I თურმეობითში: გაუყიდია და გაუყიდნია; უცემია და უცემნია.

II თურმეობითში: გაეყიდა და გაეყიდნა; ეცემა და ეცემნა და სხვა.

-ნ- მეტწილად გვაქვს II თურმეობითში და აქედან გადმოდის I თურმეობითში, მაგრამ არა ყველა ზმნაში; მაგ.: დაეგლიჯნა, დაეკრიბნა, ეთიბნა, ეცემნა, დაევიწყნა და სხვა. -ნ-ს ჩართვა ზოგს საჭიროდ მიაჩნია იმ ვარაუდით, რომ თითქოს იგი ასხვაეებდეს ერთმანეთისაგან მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ფორმებს, მაგრამ -ნ- განსხვავებას ვერ ამყარებს თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზმნათა უმეტესობა -ნ-ს ვერ იჩენს: დაება, ჩაეცვა, მიეცა, აეგო და სხვა მრავალი.

პარალელური ფორმებიდან ნორმად მიღებულია უნარო. ამას ამართლებს შემდეგი:

1. -ნ- არ ჩაერთვის ზმნათა უმეტესობას;

2. -ნ- არა გვაქვს III კავშირებითსა და ზოგჯერ I თურმეობითში მაშინაც, როცა II თურმეობითში იგი გვეკვლინება: გაუყიდნია, გაეყიდნა, მაგრამ: გაეყიდოს, გაეშალნა, მაგრამ: გაუშლია, გაეშალოს და სხვ.

3. ლიტერატურულ ენაში გაბატონებული უ-ნ-არო ფორმები და

4. -ნ-ს ჩართვა დიალექტური მოვლენაა. იგი გავრცელებულია უმთავრესად ქართლურსა და კახურში და აქედან შემოაქვთ თანამედროვე ქართულში, რაც არაა გამართლებული. მაშასადამე, დადგენილების თანახმად უნდა ვთქვათ და ვწეროთ: გაუტეხია და გაეტეხა; გაუყიდია და გაეყიდა, უცემია და ეცემა და სხვა.

ასევე: გაუბედავს და გაებედა; გაულეწავს და გაელეწა; დაუთესავს და დაეთესა და სხვა.

თუ ზმნის ფუძეში არის ნ, ის, რა თქმა უნდა, დარჩება.

უგზავნის — გაუგზავნია და გაეგზავნა

ახსნის — აუხსნია და აეხსნა და სხვა.

ჩაერთოს თუ არა -ნ- საშუალო გვარის ზმნებს თურმეობითებში?

საშუალო გვარის -ობ, -ებ, -ავ სუფიქსიან ზმნებს თურმეობითში ორ-ორი, ზოგჯერ სამ-სამი ფორმა აქვთ:

აწმყოში

I თურმეობითში

მუშაობს

უმუშავია და უმუშავნია

წვალობს

უწვალაია, უწვალნია და უწვალებია

სრიალებს

უსრიალია და უსრიალნია

ცთავავს

უცთავავს, უცთავავია და უცთავავნია

ემეშავა და ემეშავს.
 ეწვალა ეწვალსა
 ესრიალა, ესრიალნა და ესრიალებინა
 ეცაქვა და ეცაქვნა და სხვა.

ამ ნაირ-ნაირი ფორმებიდან თანამედროვე ქართულში შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია - ნ-არიანი ფორმების დამკვიდრებისა, მაგრამ სავალდებულოდ მიღებულია მხოლოდ პირველი სახის გამოყენება - ი-ა და -ა დაბოლოებით. -ნ და -ებ- სუფიქსთა გარეშე. ამას ადასტურებს ის, რომ -ნ-

1. დიალექტური წარმოშობისაა;
2. ამის გამო ის ნაკლებ გავრცელებული იყო ბოლო ხანებამდე

და
 3. ზოგ ზმნას არ უჩნდება (მაგ.: უხმარია, ეხმარა, უსწავლია, ესწავლა).

რაც შეეხება -ებ სუფიქსის ჩართვას, ის შედეგია მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნათა აღრევისა.

წესი ასეთია: საშუალო გვარის ზმნას, არის ის აწმყოში უსუფიქსო თუ -ობ, -ებ, -ავ სუფიქსიანი, I თურმეობითში აქვს ამ სუფიქსთა ადგილას -ი-ა, ხოლო II თურმეობითში -ა დაბოლოება. მაგ.:

თამაშობს — უთამაშია, ეთამაშა

ცხოვრობს — უცხოვრია, ეცხოვრა და სხვა. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა ამ ზმნებისაგან ნაწარმოებია ორპირიანი გარდამავალი ფორმები ი — ებ და უ — ებ აფიქსებით, მაგ.:

ითამაშებს — უთამაშია, ეთამაშა

უთამაშებს (გული) — უთამაშია, ეთამაშა (გულს)

იცხოვრებს — უცხოვრია, ეცხოვრა და სხვა.

მაგრამ თუ ნაწარმოებია გარდამავალი ორპირიანი ზმნა ა—ებ ან სამპირიანი უ—ებ აფიქსებით, მაშინ თურმეობითებში -ებ რჩება; მაგ.:

ითამაშებს — უთამაშებია, ეთამაშებინა

აცხოვრებს — უცხოვრებია, ეცხოვრებინა

უთამაშებს მას ბავშვს — უთამაშებია, ეთამაშებინა ბავშვი მათთვის და სხვა.

ამგვარად, გვაქვს:

იწუხებს — უწუხია, ეწუხა
მუშაობს — უმუშაოა, ემუშავა
იმუშაებს — უმუშაოა, ემუშავა
სრიალებს — უსრიალია, ესრიალა
ისრიალებს — უსრიალია, ესრიალა
ცეკვავს — უცეკვია, ეცეკვა
იცეკვებს — უცეკვია, ეცეკვა.

დარღვევები სინტაქსშიცაა

შევეხებით ორიოდ საკითხს.

ა) შენიშნულია დარღვევა მისამართ სიტყვასა და რომელიც წევრ-კავშირს შორის რიცხვში შეთანხმებისა; მაგ.: „იცნობს... იმ სულიერ ინტერესებს, რომელსაც იგი ამ რომანში წარმოსახავს“, უნდა იყოს: ინტერესებს, რომლებსაც.

წესი ასეთია: როცა წინადადების მისამართი წევრი, ე. ი. ასახსნელი სიტყვა მრავლობითშია, მაშინ რომელიც წევრ-კავშირიც მრავლობით რიცხვში იხმარება; მაგ.: დააჯილდოვეს მუშები, რომლებმაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

შეთანხმება მაშინაცაა მრავლობით რიცხვში, როცა მისამართი წევრი მხოლოდობითშია, მაგრამ მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან სიმრავლის აღსაიშენელი სიტყვა — ბევრი, მრავალი, ყველა და სხვა. მაგ.: დააჯილდოვეს სამი მუშა, რომლებმაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს; დააჯილდოვეს ბევრი მუშა, რომლებმაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

ბ) დარღვევაა კავშირის გამოყენებაშიც. ქართულში გვაქვს ერთისა და იმავე მნიშვნელობის ორი საპირისპირო კავშირი: ხოლო და კი. წინადადებაში გვხვდება ორივე; მაგ.: „ერთი გადმოთარგმნილია ებრაულიდან. ხოლო მეორე კი — ბერძნულიდან“. უნდა იყოს ან ერთი, ან მეორე; ან: „ხოლო მეორე ბერძნულიდან“, ან: „მეორე კი ბერძნულიდან“

წესია: წინადადებაში უნდა ვისმართო ან ხოლო, ან კი, ორივე ერთად არ შეიძლება იყოს.

გ) არეულია როგორც და როგორიც წევრ-კავშირთა ხმარება. მაგ.: „ტყეს ისეთივე ბედი სწევია, როგორც უფრო გვიან ქალაქებს“. უნდა იყოს: „ისეთივე ბედი სწევია. როგორიც... .. აღამიანმა ისეთი ნაყოფი მოუტანოს ხალხს, როგორც ვენახს მოჰქონდა“; უნდა იყოს: „როგორიც ვენახს მოჰქონდა“.

მიღებულია წესი: როცა წინადადების მისამართი წევრია ისე, საპირისპირო წევრ-კავშირად გამოყენებულია როგორც; მაგ.: „პოეტების ხმა ჟღერს ისე, როგორც ეს მათ სახელს შეჰფერის“.

როცა მისამართი წევრია ისეთი, მისი შესაბამისი წევრ-კავშირია როგორიც; მაგ.: „წამკითხველმაც ისეთი სიამოვნება მიიღო, როგორიც მსმენელმა“.

უნდა დავსძინოთ, რომ როგორიც წევრ-კავშირი ბრუნვებში იცვლება თავისი შემასმენლის მოთხოვნით: მიიღო ისეთი სიამოვნება, როგორიც სხვამ: გამოტოვებულია შემასმენელი მიიღო, ამიტომ არის როგორიც. მიიღებს ისეთ სიამოვნებას, როგორსაც — სხვა. აქაც გამოტოვებულია შემასმენელი მიიღებს, ამიტომ გვაქვს როგორსაც.

დიდი მადლობა ისეთი სიამოვნებისათვის, როგორსაც არ ველოდით. დრო ისეთი სიამოვნებით გაატარა, როგორადაც ელოდნენ და სხვა.

ამით დავკმაყოფილდეთ. ესა და სხვა მრავალი საკითხი გაშუქებულია იმ მოხსენებებსა და პროექტებში, რომლებიც წარმოადგინეს გ. ახვლედიანმა, ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, ს. ჯანაშიამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ვუჯ. ბერიძემ, ს. იორდანიშვილმა, ივ. გიგინეიშვილმა, ვ. თოფურიამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლებმა (გ. შალამბერიძემ, ლ. ლეჟავამ, ნ. აბესაძემ) და სხვებმა.

* * *

ლიტერატურული ენის სრულყოფილად მოხმარებისათვის საჭიროა შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება.

1. პირველი და მთავარი ღონისძიებაა სწორი ლიტერატურული ენის შესწავლა სკოლაში; უმაღლეს სასწავლებელში. ეს ნიშნავს ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მარაგის დაუფლებას, ენის სტრუქტურის გაცნობას და მისი მართებული წესების ცოდნას, ზეპირ და წერითს მეტყველებაში ნორმების დაცვას და მათი მოხმარების ჩვევად ქცევას ურყევ დებულებად ნუ გავიხდით მოარულ ნათქვამს: „ქართულში როგორც ითქმის, ისე იწერება“ უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურული ენა სასაუბრო ან ამა თუ იმ კუთხის ენა კი არაა, არამედ დამუშავებული, წიგნური ენაა.

ლიტერატურული ენის სიახლოვე ცოცხალ ენასთან მას დემოკრატიულს ხდის, მის შესწავლას აადვილებს, მაგრამ ამავე დროს მის დაუფლებას ხელს უშლის, სიადვილის გრძნობის გამო გულისყურით არ ვსწავლობთ. აუცილებელია იგი ხანგრძლივად და მთელი მონდომებით ვისწავლოთ.

2. ყოველთვის და ბევრი ვიკითხოთ ქართველ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები და კარგად თარგმნილი ლიტერატურა (ვეფხისტყაოსანი, ვისრამიანი, გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, თანამედროვე მწერლები, ვიკითხოთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები და დაეიმახსოვროთ უცნობი სიტყვები თავისი მნიშვნელობით. მოხდენილი გამოთქმები, ზეპირად დავისწავლოთ მხატვრული ადგილები და სხვა.

3. მობილიზება ვუყოთ ჩვენს შინაგან ძალებს, სმენას, ყურადღებას, მეხსიერებას და ყური მივაპყრათ სხვათა სწორ წარმოთქმას, ლოგიკურ მსჯელობას და ჩვენც ვეცადოთ ყოველთვის აზრის დალაგებით, მისი ჭეროვანი სიტყვიერი გამოხატვით ვიმსჯელოთ, ჩვენად შევიმუშაოთ დამაჯერებლად, დალაგებით საუბარი, დავიცვათ ბუნებრივი წარმოთქმა და ვწეროთ ყურადღებით.

4. გამოვიყენოთ აკაკის რჩევა, მოცემული მწერალთათვის: საჭიროა „ასი ათასი სიტყვა-ფრაზისაგან არჩევა მასალებისა, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ აღებულ საგანს“

5. ლიტერატურულ ნაწარმოებს მხატვრულს ხდის არა მარტო ლიტერატურის თეორიით გათვალისწინებული მხარეები, ბუნების აღწერა და სხვა, არამედ იდეური მხარე, მოხდენილად შერჩეული და სწორად დალაგებული სიტყვებით გამოხატვა, გამოთქმებით, აფორიზმებით, ანდაზებით შემკობა რამდენად აამალლა ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ მასში ბლომად ნახმარამ მოხდენილმა გამოთქმამ, შემდეგში ხალხში ანდაზად გადასულმა ფრაზეოლოგიამ. უბადლოა „ვეფხისტყაოსანი“ თავისი აფორიზმებით, მოკვეთილი გამოთქმებით სანიმუშოა ილიას მოთხრობები ასეთი აზრიანი წინადადებებითა და გამოთქმებით: გული მოიფხანა, პილპილმოყრილი მადლი, აფრა აუშვა. კვერი დაუკრა. დიდი ბედენა არ არის, ენას ჭალი არ მოედება, წელეზე ფეხს იდგამს, წადილი ვერ მოიკლა, ხელ-ფეხს ქარი ამოაღებინა. წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებს, შენი ხმალი და ჩემი კისერი და სხვა მრავალი.

6. ყველაფერი უნდა იწერებოდეს სწორად, წიგნიერად; თუ დაწერილია, შემოწმდეს და გასწორდეს, არის ეს ფირნიშები, განცხადებები, აფიშები, პროგრამები, ეტიკეტები, საქონლის ფაშები თუ სხვა. ეს მოხერხდება. თუ ქალაქის სარეკლამო ბიუროს ეყოლება მთარგმნელ-სტილისტი, რომელსაც ამ საქმის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

7. სავალდებულოდ გავიხადოთ ყველამ, რომ ქართული ლიტერატურული ენის დამახინჩება არ ვაპატიოთ არავის, შეენიშნოთ, გავუსწოროთ. ამაში უნდა ჩავაბათ ლექტორები, მასწავლებლები, სტუდენტები და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. ვიცოდეთ, რომ ეროვნული გრძნობის ყველაზე დიდი შემლახველი მშობლიური ენის დამახინჩებაა.

8. გამოვსცეთ სახელმძღვანელოები, დამხმარე წიგნები ლიტერატურული ენის შესასწავლად ისე, როგორც ამას რუსეთში შერებან: დავბეჭდოთ ორთოეპიისა (მართლწარმოთქმისა) და ორთოგრაფიის (მართლწერის) ლექსიკონი, სინონიმთა და გამოთქმათა ლექსიკონები. დადგენილებები მართლწერის შესახებ, მრავალგვარი პოპულარული წიგნი და სახელმძღვანელო — გრამატიკა, მართლწერის წიგნი, სავარჯიშოთა კრებულები, კარნახის კრებულები და სხვა. გამოვაქვეყნოთ ადამიანისა და გეოგრაფიულ სახელთა სია; დავუგზავნოთ სავაჭრო დაწესებულებებს ქართულად შედგენილი პრაისკურანტი, საქონელს თან გავატანოთ ფასებთან ერთად სახელწოდებები.

9. გავშალოთ ფართო მასებში ახსნა-განმარტება ქართული ლიტერატურული ენის მნიშვნელობისა და მისი სიწმინდის დაცვათაობაზე. ამ მხრივ ბევრს აკეთებს საზოგადოება „ცოდნა“ და თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო.

ქართველმა ერმა შექმნა მდიდარი ლიტერატურული ენა. ათასი წლობით გამოატარა იგი დუხჭირ პირობებში და განავითარა. ჩვენმა საბჭოთა ეპოქამ მას წინსვლისა და ფართო გამოყენების ასპარეზი შეუქმნა. ჩვენი ვალაია კიდევ უფრო აღვაზეოთ, კიდევ უფრო გავამდიდროთ, გამოყენების უფრო დიდი ასპარეზი მოვუპოვოთ, ვასწავლოთ, ვისწავლოთ და დავიცვათ ჩვენი მშობლიური ენა.

ნასესხები სიტყვები	6
საკუთარ სახელთა გადმოცემა	9
უმახვილო ი-ს გადმოცემა	9
ა-ზე გათავებულ სიტყვათა გადმოცემა	10
ეჟ-ზე გათავებულ სიტყვათა გადმოცემა	10
ბუხპალტერი თუ ბულალტერი?	11
ვ-ბგერასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	11
რთული სიტყვების მართლწერა	13
ადამიანის სახელთა მართლწერისათვის	15
ჰ- და ს- თავსართები ზმნაში	17
პირველ თურმეობითსა (კითხვაზე: რა უქნია?) და მეორე თურმეობითში (რა ექნა?) ნახმარ ზმნებთან დაკავშირებული სადავო საკითხები	23
დარღვევები სინტაქსშიცაა	27



Варлам Трифонович Топуриа

ОБЕРЕГАТЬ ЧИСТОТУ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(На грузинском языке)

Издательство

«Сабчота Сакартвело»

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

1964

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ძოწენიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექნიკური ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი პ. ლეღეცვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII-64 წ. ქალაქის ზომა 60X84¹/₁₆.

ნაბეჭდი თაბახი 2,0 სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,6.

უე 02504.

ტირაჟი 63.600.

შეკვ. № 2900

ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისის მარჯანიშვილის ქ. 5

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ., № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии

Тбилиси, ул. Ленина, 14.

საზოგადოების ბროშურებზე ხელმომწერთა საშუალებოდ

1964 წელს დაიბეჭდა და შეექმნე ხერიის ხელმომწერლებს დაეგზავნათ შემდეგი ბროშურები:

1. {
2. { ლ. შაკსიმოვი — სინთეზური მასალები დღეს და ხვალ
3. { ს. ერქმაიშვილი — ღორის ხორცის წარმოების გადიდების რე-
4. { ზერეები საქართველოში
5. ვ. თოფურიია — ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის